საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის მარტის 27.	№ 7 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მე-IV მოწვევის მე-3 სესიაზე მიღებული დადგენილებანი.

მუხ. 63. ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კონუშკინის მოხსენების გამო—ბაქოს საბჭოს მოქმედების შესახებ.

„ 64. აზნავთის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მ. ბარინოვის მოხსენების გამო—აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ.

„ 65. ა/კ. მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბუნიათ-ზადეს მოხსენების გამო—ა/კსფსრ-ში მებამბეობისა და ბამბის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

„ 66. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. დ. ჭუსეინოვის მოხსენებისა და ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის „აბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ნაზარეთიანის თანამოხსენების გამო—ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

„ 67. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მდივნის ამხ. ა. შავერდოვის მოხსენების გამო—ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმის მიერ ა/კ. მე-IV მოწვევის ცენ. აღმ. კ-ტის 1-ლსა და მე-3 სესიებს შორის განვლილ პერიოდში მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

„ 68. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ს. ამბარცუმიანის არჩევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მე-IV მოწვევის მე-3 სესსიაზე მიღებული დადგენილებანი.

63. ბაქოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. კონუშკინის მოხსენების გამო—ბაქოს საბჭოს მოქმედების შესახებ.

1. მოსმენა-რა ბაქოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **კონუშკინის** მოხსენება ბაქოს საბჭოს მუშაობის შესახებ, ამერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია აღნიშნავს ბაქოს საბჭოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერებას, რაც იმაში გამოიხატა, რომ ფართოდ იქნა გაშლილი მასსიური მუშაობა და დამყარებულ იქნა მტკიცე კავშირი ბაქოს მშრომელ ელემენტებთან, და ადასტურებს ბაქოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს მოქმედებას.

2. ბაქოს პროლეტარიატი იყო და დარჩა იმ მოწინავე რაზმად და შემაკავშირებელ ძალად, რომელიც აერთიანებს არა მარტო აზერბაიჯანისა, არამედ მთლად ამერკავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელ მასსებს პროლეტარიატის დიქტატურის გარშემო, რისთვისაც ბაქოს მუშათა კლასი მედგრად იბრძოდა სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელების ბურჟუაზიულ-ბატონური და წვრილ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

1917 წლიდან დაწყებული ბაქოს პროლეტარიატი აწარმოებდა განუწყვეტელ და შეურიგებელ რევოლიუციონურ ბრძოლას აზერბაიჯანსა და მთლად ამერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და ძმური რესპუბლიკების გაერთიანებისათვის. ამის შედეგად ამერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაარსება იყო.

3. ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს ბაქოს პროლეტარიატის მიერ მიღწეულ დიდ წარმატებას სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის ფრონტზე. მუშათა ფართო ახალშენების მოწყობა, თვალსაჩინოდ გაშლილი მუშათა ბინების მშენებლობა, ტრამვაის გაყვანა, ელექტრო-რკინისგზის გაყვანა საბუნჩაში, წყალსადენის დამთავრება, კანალიზაციის მოწყობა, ახალი საავადმყოფოს აშენება, ფართოდ გაბმული კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელი,—ყველა ეს თვალნათლივად ჰმოწმობს ბაქოს საბჭოს სათანადო და სწორ ხელმძღვანელობას სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის სფეროში.

მრეწველობის განვითარება, ყოველმხრივ ხელისშეწყობა ბაქოს საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, ბაქოს საბჭოს თანდათანი პოლიტიკური ავტორიტეტისა და ეკონომიური ხელმძღვანელობის გაძლიერება, ბაქოს მუშების

№ 71
ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული და ყოფა-ცხოვრების მდგომარეობის წარმატება და ზრდა უნდა შეადგენდეს მთლად ამიერკავკასიის ფედერაციის მზრუნველობის საგანს.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს-რა ბაქოს საბჭოს მასსიური მუშაობის ფართოდ გაშლას (სექციების მუშაობის გაძლიერება და ამ სექციების წევრთა აქტივობა, სექციების მუშაობაში გეგმიანობის შეტანა, მასსიურ მუშაობაში ბაქოს საბჭოს და რაიონულ საბჭოთა წევრებისა, საწარმოთა მუშებისა და საერთოდ მშრომელი ელემენტების მრავლობით ჩაბმა, სექციების საკონტროლო-საკვლევო მუშაობისა და საბჭოს წევრების მუშაობის თვალსაჩინო გაძლიერება სხვადასხვა საწარმოში და სხვ.), წინადადებას აძლევს ბაქოს საბჭოს განაგრძოს ამ მუშაობის განვითარება, რათა მშრომელთა მასსების უფრო და უფრო მეტი რიცხვი ჩააბას სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

5. მძიმე მემკვიდრეობა დარჩა ბაქოს წინანდელი საქალაქო მეურნეობისგან. ახლო წარსულში მას სულაც არ გააჩნდა კეთილმოწყობის თვით ძირითადი ელემენტებიც-კი: კანალიზაცია, ტრამვაი, მცენარეულობა, ქუჩების განათება; სამაგიეროდ, ჰქონდა უმძიმესი საბინაო პირობები, დაუმთავრებელი წყალსადენი და სხვ. ყველა ეს და ცალკე ეროვნებათა მშრომელი ელემენტების კულტურული ჩამორჩენილობა აუცილებელ საჭიროებასა ჰბადებს დიდი ხარჯების გაწევისას, რათა აღმოფხვრილ იქნეს აღნიშნული ნაკლულოვანებანი და დაკმაყოფილებულ იქნეს ბაქოს მუშათა და მშრომელთა მრავალმხრივი მოთხოვნილობანი, რაც თანდათან იზრდება.

6. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელებელი კომიტეტი, აღნიშნავს-რა ბაქოს საბჭოს ბიუჯეტის შეუწყვეტელ ზრდასა და განმტკიცებას, მაინც სცნობს, რომ ბაქოს საბჭოს ბიუჯეტის ზრდის ტემპი საკმარისი არ არის იმ დიდ მიზანთა განსახორციელებლად, რაც აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის უდიდესი სამრეწველო ცენტრის მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შედგენს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია მთლად ადასტურებს საკანონმდებლო ორგანოების იმ დადგენილებებს, რომლითაც ბაქოს საბჭოს მიეცა უფლება მიიღოს ნავთის წიაღების სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები და აღნიშნავს, რომ ხსენებულმა დადგენილებებმა ხელი შეუწყეს ბაქოს საბჭოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაჯანსაღებას; თანაც წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს კვლავ შეუნარჩუნოს ბაქოს საბჭოს ნავთის წიაღების შემოსავლის ანარიცხები.

ხოლო, იმ მიზნების მიხედვით, რომლის გადაწყვეტისათვისაც მოწოდებულია ბაქოს საბჭო, იბადება საჭიროება რათა ბაქოს საბჭოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შემდეგშიაც გაძლიერებულ იქნეს.

რადგანაც ბაქოს სოფელი დიდ დეფიციტს იძლევა და ბაქოს საბჭოს დიდი თანხების ხარჯვა უხდება საგზაო მშენებლობაზე მაზრაში, სესსიას საჭიროდ მიაჩნია წინამდებარე 1928-29 საბიუჯეტო წლისათვის დატოვებულ იქნეს ძალაში ბაქოს საბჭოს ტერიტორიალური შემოსავლის არსებული განაწილება (სასარეწაო გადასახადის 75% და საფუთო გამოსაღების 30% ანარიცხი). შემდეგში, აზერბაი-

ჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დადგენილი გადანაწილების გადასინჯვის დროს, მხეველობაში მიღებულ უნდა იქნეს ბაქოს საბჭოს ბიუჯეტის საერთო მდგომარეობა.

7. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნავს-რა ბაქოს საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო ბაზის რამდენადმე გაფართოებასა და მისი პროდუქციის სათანადო ზრდას, საჭიროდ სთვლის, რათა გაძლიერებულ იქნეს მუშაობა ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი გაშლისათვის, როგორც სათანადო სახსარის მოთავსებით კაპიტალურ მშენებლობაში, ისე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი დარაიონებით. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე, განიხილოს ყველა საკითხი, რაც კი დაკავშირებულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის საბოლოო დარაიონებასთან.

ამასთანავე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აზერბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—როგორც რესპუბლიკანური, ისე საერთოსაკავშირო სახსარიდან ადგილობრივი მრეწველობის აღმშენებლობისათვის გადადებულ ასიგნვათა განაწილების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბაქოს ადგილობრივ მრეწველობას.

8. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღიარებს-რა კომუნალურ საწარმოთა ზრდას და კაპიტალურ მშენებლობის განვითარებას, აღნიშნავს, რომ ეს მშენებლობა სწარმოებდა მოკლევადიანი კრედიტის მეშვეობით, რამაც გამოიწვია დიდი დავალიანება, და საჭიროდ მიაჩნია ბაქოს საბჭოს კაპიტალური ფონდის გაძლიერება. სესსია მიანდობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—განიხილონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ამ დავალიანების კონსოლიდაციისა და დაფარვის ვადების გაგრძელებისათვის, აგრეთვე ბაქოს საბჭოს მიერ გრძელვადიანი კომუნალური კრედიტების მიღების საქმეში ხელისშეწყობისათვის.

9. თუმცა საბინაო მშენებლობა ბაქოში ფართოდ არის გაშლილი, მაინც საბინაო კრიზისი, მოსახლეობის განსაკუთრებული ზრდის გამო, არამც თუ ნელდება, არამედ თანდათან მწვავდება. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია საჭიროდ სცნობს უფრო გაძლიერებულ იქნეს მუშათა საბინაო მშენებლობა ქ. ბაქოში და წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაონ მთელი რიგი ღონისძიებანი ამა დადგენილების განსახორციელებლად.

10. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნავს-რა მთელ რიგ მიღწევათ ქ. ბაქოს კეთილმოწყობის საქმეში, როგორც ცენტრში, ისე, განსაკუთრებით, განაპირა ადგილებში და მუშათა რაიონებში (გამწვანებული ადგილების გადიდება, განათების გაძლიერება, ქალაქის გენერალური გეგმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენა, კანალიზაციის მოწყობა და სხვ.), წინადადებას აძლევს ბაქოს საბჭოს განაგრძოს მუშაობა ქალაქის კეთილმოწყობისათვის და ნუ შეასუსტებს ამ მუშაობის ტემპს.

11. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია, აღიარებს-რა ჯანმრთელობის დაცვის საქმის თვალსაჩინო მიღწევებს ქ. ბაქოსა და მის რაიონებში (პროფილაქტიურ დაწესებულებათა ქსელის მოწყობა, საამბულატორო-სასტაციონარო დახმარების თვალსაჩინო ზრდა, სამკურნალო დახმარების მთელი რიგი ახალი სახის საშუალებათა შექმნა, დედობისა და ბავშვობის დაცვის დაწესებულებათა მოწყობა, ახალი ქირურგიული საავადმყოფოს აშენება და სხვ.), აღნიშნავს, ამასთანავე, იმ სახსარის ნაკლებობას, რაც ჯანმრთელობის საქმისათვის არის გადადებული, და მიანდობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—აღძრას სსრკ სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი, რათა სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს სახსარიდან გამოყოფილ იქნეს დამატებითი თანხები ბაქოს მუშათა რაიონების სამკურნალო საჭიროებათათვის.

სესსია მთლად ადასტურებს ქ. ბაქოში გოგირდის წყლისა და ტალახის საავადმყოფოს აშენებას და წინადადებას აძლევს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და აზერბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სრული დახმარება გაუწიონ ბაქოს საბჭოს ამ საავადმყოფოს აშენებისა და მოწყობის საქმეში.

12. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნავს-რა სახალხო განათლების საქმის მთელ რიგ მიღწევათ, განსაკუთრებით ნაციონალური სკოლის თვალსაჩინო ზრდას და განმტკიცებას, წინადადებას აძლევს ბაქოს საბჭოს—შეუდგეს უახლოეს წლებში საყოველთაო დაწყებითი სწავლების განხორციელებას; თანაც განაგრძოს სკოლების რეორგანიზაცია ხალხისა და მეურნეობის მოთხოვნილებათა მიხედვით და განაძლიეროს სასკოლო მშენებლობა როგორც ბიუჯეტის სახსარიდან გადადებული ასიგნვებისა, ისე გრძელვადიანი კრედიტის მეშვეობით.

13. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნავს-რა იმ დიდ საქმეს, რაც ბაქოს საბჭოს გაუკეთებია სოფლად, როგორიც არის: მრავალშტოიანი სასკოლო ქსელის შექმნა, ფართო სამკურნალო დახმარების მოწყობა, წყალსადენთა გაყვანა, საირრიგაციო და სამიწათმოწყობო მუშაობა, საგრონომიო პუნქტებისა და სავეტერინარო პუნქტების მოწყობა და სხვ., წინადადებას აძლევს ბაქოსს საბჭოს—ნუ შეასუსტებს თავის ყურადღებას სოფლის მშრომელი მოსახლეობის საჭიროებათა მიმართ. კერძოდ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს მას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საირრიგაციო და სამელიორაციო სამუშაოებს ბაქოს მახრაში, ტეხნიკური კულტურების გაშენებისა და ცხოველთა მოშენების საქმის გაძლიერებას.

14. ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია აგრეთვე წინადადებას აძლევს აზერბაიჯანის სსრ ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ აღმასრულებელ კომიტეტს—ირრიგაციისა და მელიორაციისათვის სახსართა განაწილების დროს მიაქციოს ყურადღება ბაქოს მაზრას და გამოჰყოს აღნიშნული მუშაობისათვის სათანადო სახსარი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 17. ქალ. ბაქო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 68(1734) №-ში 1928 წ. მარტის 23-ს.

---

64. აზნავთის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მ. ბარინოვის მოხსენების გამო—აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ.

1. მოისმინა-რა აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის (აზნავთის) გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ბარინოვის** მოხსენება აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ, ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია აღნიშნავს ნავთის მრეწველობის უდიდეს მიღწევებს და ადასტურებს აზნავთის მოქმედებას.

2. სესსია აღიარებს, რომ ბაქოს მუშებისა და ნავთის მრეწველობის ყველა მომუშავის ძალთა ამოძრავებით მიღწეულია შემდეგი:

ა) ბურღვა 1926-27 წ. უდრის 255 ათას მეტრს, რაც ომის წინა დროის რაოდენობას 49 პროცენტით აღემატება.

ბ) ნავთის და გაზის ამოღება იმავე წელს შეადგენს 6.970 ათას ტონნას, ან 1913 წლის ამონაღების 94,9 პროც. 1927-28 წლის პროგრამით გათვალისწინებულია 7.750 ათასი ტონნას ამოღება, რაც 1913 წლის ამონაღებს 5 პროცენტით აღემატება.

გ) 1926-27 წელს გადამუშავებულია 4.032.000 ტონნა ნედლი ნავთი, ხოლო 1913 წ. გადამუშავებულ იქნა 4.557,9 ათასი ტონნა. 1927-28 წელს გადამუშავებული იქნება 5.000 ათასი ტონნა, რაც 1913 წელთან შედარებით მოგვცემს 9 პროც. ალმატებას. ამასთანავე, 1926-27 წ. ბენზინი მიღებული იყო 8,9 ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

დ) წარმოების ძირითადი დარგების ზრდასა და გაფართოებასთან ერთად მიღწეულია აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაც.

საშუალოდ, ყოველგვარი ხერხით ერთ მეტრზე ნიადგში გავლის ღირებულება შემცირდა 412 მან. და 57 კაპიკიდან, რაც 1923-24 წელს იყო, 200 მან. და 76 კაპ-დე 1926-27 წელს, ე. ი. ერთი-ორზე მეტად, ხოლო ომის წინა დროსთან შედარებით—ერთი-ოთხზე მეტად.

ერთი ტონნა ნავთის მარტო საექსპლოატაციო თვითღირებულება აღნიშნული წლების განმავლობაში შემცირდა 9 მან. და 13 კაპიკიდან 4 მან. და 72 კაპ-დე, ე. ი. თითქმის ერთი-ორად.

ერთი ტონნა ნავთის პროდუქტების თვითღირებულება იმავე წლების განმავლობაში შემცირდა: ბენზინისა—35,7 პროცენტით, კეროსინისა—20,2 პროცენტით, ჯარას ზეთისა—29,6 პროცენტით, მანქანის ზეთისა—31,1 პროცენტით და ცილინდრის ზეთისა—29,8 პროცენტით.

ე) შრომის ნაყოფიერებამ, რაც თითო კაც-დღეზე გამოსული პროდუქციის რაოდენობით იზომება, გვიჩვენა ზრდა 1923-24 წლიდან 1926-27 წლამდე ნავთის ამოღების საქმეში 128 პროცენტით, ბურღვაში—179 პროცენტით და ნავთის გადამუშავებაში—86 პროცენტით.

3) ერთი მომუშავის საშუალო თვიური სამუშაო საშოვარი გადიდდა 45 მან. და 90კაპიკიდან, რაც 1923-24 წელს იყო, 76 მან. და 28 კაპ-დე 1926-27 წელს და ეს 66,2 პროცენტს უდრის.

3. სესსია კმაყოფილებით აღნიშნავს წარმოების რაციონალიზაციისათვის გაწეულ უდიდეს მუშაობას და აღიარებს, რომ, რაციონალიზაციის მიხედვით, აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობას უჭირავს ერთი უპირველესი ადგილთაგანი მთლად სსრკ-ში.

ძირითადი მაჩვენებელი, რაც ახასიათებს განხორციელებულ რაციონალიზაციას, არის:

ა) ბრუნვითი ბურღვით ნიადაგის გავლამ 34,7 პროცენტიდან 71,3 პროცენტამდე აიწია; ამავე დროს შტანგის ხერხით 1926-27 წელს ამობურღვილია 7,3 პროცენტი, მაშინ, როდესაც 1923-24 წ. ამობურღვილი იყო 64,5 პროცენტი.

ბ) ღრმა ტუმბოებით ამოღებამ 0,8 პროცენტიდან 34,9 პროცენტამდე აიწია, ხოლო საკომპრესორო ამოღებასთან ერთად, ე. ი. მთლად მექანიკური ამოღება 1926-27 წელს შეადგენს 64,8 პროცენტს 32,2 პროცენტთან შედარებით 1923-24 წელს.

გ) ძრავთა სახის მიხედვით ელექტრომოტორებით ნაექსპლოატაციები ჭები 1923-24 წელს შეადგენდა 71 პროცენტს, ხოლო 1926-27 წელს—92,9 პროცენტს; ამასთან ერთად—ორთქლის მანქანებით—14,4 პროც. და 1,2 პროც. დიდძალოვანი მოტორები შეცვლილია საკმარისი რაოდენობის მცირეძალოვანი ელექტრომოტორებით. ნავთის ჰერმეტიზაცია ჭების რიცხვის მიხედვით გამოიხატა 82,1 პროცენტით და ამოღების მიხედვით—76,8 პროცენტით.

დ) ნედლი ნავთის გამოსავალმა ბენზინად 0,92 პროცენტიდან 5,45 პროცენტამდე აიწია, ე. ი. ექვსჯერ.

ე) ელექტროენერგიის სათბობის ხარჯებმა სასარეწაოებში, ნავთისა და გაზის საერთო ამონაღებთან შეფარდებით პროცენტულად, 11,7 პროცენტიდან 4,9 პროცენტამდე დაიწია.

4. სესსია აღნიშნავს, რომ ნავთის მრეწველობის რაციონალიზაცია, როგორც ბუშმარიტად სოციალისტური რაციონალიზაცია, განესხვავება კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, რაც ემყარება მუშათა კლასის ექსპლოატაციას, სამუშაო დროის გადიდებას და სამუშაო ხელფასის შემცირებას. სამაგიეროდ, ნავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის მრეწველობის რაციონალიზაციას მოჰყვა სამუშაო ხელფასის ზრდა, სამუშაო დღის შემცირება, შრომის ვითარებისა და მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესება და აგრეთვე მუშათა მასსის კულტურული დონის გაფართოება.

უუდიდესმა მიღწევებმა სოციალისტურ რაციონალიზაციაში და შრომის ნაყოფიერების ზრდაში და ამავე დროს წარმოების გაფართოებამ შესაძლებლად გახადეს აღძრულიყო საკითხი 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

5. სესსიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ რაციონალიზაციის მძლავრად ამოძრავებულ ტემპს, რაც უეჭველია იწვევს მუშა-ხელის სიჭარბეს, უნდა მოჰყვეს წარმოების გაფართოება იმ ზომამდე, რომ განთავისულებული მუშა-ხელი სრულიად გამოყენებულ იქნეს ახალ საწარმოთა და სარეწავათათვის.

6. სესსია აღიარებს, რომ ნავთის მრეწველობის უუდიდესი წარმატებანი ნაყოფია ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა შემოქმედებითი ინიციატივისა, განსაკუთრებული ენერგიისა, ურყევი გაბედულებისა და გმირობისა. ამასთანავე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს აზნავთას საინჟენერო-სატეხნიკო ძალთა უუდიდეს მუშაობასა და კეთილსინდისიერ მოპყრობას საქმისადმი.

7. სესსია, აღნიშნავს-რა თვალსაჩინო მიღწევებს საბინაო მშენებლობის სფეროში (ახალშენთა მაწყობა—3000-დე ახალი ბინის აგება, რომლებშიაც ჩასახლებულ იქნენ მუშები, ძველი ბინების შეკეთება და სხვ.) და ამასთანავე ნავთის მუშათა დიდ გაჭირვებას ბინების ნაკლებობის გამო, საჭიროდ სცნობს გაძლიერებულ იქნეს ბინების მშენებლობის ტემპი, გაიაფებულ იქნეს ბინის აშენება და გადიდებულ იქნეს ასიგნევები საბინაო მშენებლობისათვის.

8. იმ ნავთის მიწების თანდათანი გამოფიტვა, რაც ამ ჟამად ექსპლოატაციაშია, ჰქმნის საჭიროებას რაც შეიძლება გაფართოებულ და გაძლიერებულ იქნეს საკვლევა-ძიებო მუშაობა, რისთვისაც შეფარდებულ უნდა იქნეს ყველა საამდროვო ახალი ხერხი წიაღის შესასწავლად ბურღვის დროს და გეოფიზიკური მეთოდები საბადოების გამოსაკვლევად.

9. ბურღვის ტემპის განელებას ან წარსული წლის დონეზე გაჩერებას შეუძლიან გავლენა იქონიოს მომავალ წლებში ნავთის ამოღებაზე და თვითღირებულების გადიდებაზე.

სესსია სცნობს, რომ ნავთის მრეწველობის სფეროში საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი მიზანია როგორც საექსპლოატაციო, ისე საკვლევო ბურღვის თანდათანი გაფართოება. კერძოდ, სესსია აღნიშნავს, რომ, უკეთუ არსებული გაწყობილება და დაზგები სრულიად იქნება გამოყენებული და თავიდან აცილებული იქნება შემჩნეული ტეხნიკური და ორგანიზაციული დეფექტები, შეიძლება წარმოების ამ უაღრესი მნიშვნელობის დარგში მიღწეულ იქნეს და მიიღწევა კიდეც მაქსიმალური ეფექტები.

10. ნავთის სახდელი ქარხნების გამტარებლობის ნაყოფიერება თანდათან იზრდება, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ საკმარისი არ არის მთელი პროდუქციის „ლიაფერინობის“ პრობლემის სრული გადაწყვეტისათვის. ამიტომ საჭიაორ რაც შეიძლება გაძლიერებული მუშაობა იქნეს წარმოებული ნავთის სახდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტალიაციების სიმძლავრის გადიდებისათვის როგორც ბაქოში, ისე ბათუმში. კერძოდ, საჭიროა გადაწყვეტილ იქნეს მძიმე ნავთის გადამუშავების საკითხი.

11. ნავთის პროდუქტების გატანის შეუწყვეტელ და თვალსაჩინო ზრდას დაბრკოლებად ეღობება ის გარემოება, რომ საკმარისი ტრანსპორტი არ მოიპოვება განზრახული პროგრამის შესასრულებლად. ამის გამო საჭიროა, ბაქო-ბათუმის ნავთსადენის ასაგებად დაწყებული მუშაობა ინტენსიური ტემპით მიმდინარეობდეს. ამასთან ერთად საჭიროა, აგრეთვე, დაჩქარებულ იქნეს ნავთსასხმელ ნავჭურჭელთა აგების პროგრამის სრული განხორციელება.

12. სესსიას მიჩნია, რომ ცენტრის მიერ აზნავთის სამრეწველო-საფინანსო გეგმების თავის დროზე დაუმტკიცებლობა და არაერთხელ შეცვლა არღვევს მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობას და ამით აზნავთს შესაძლებლობა ესპობა აწარმოოს მტკიცე გეგმიანი მუშაობა. კერძოდ, 1927-28 წელს სამრეწველო-საფინანსო გეგმა ჯერ კიდევ საბოლოოდ დამტკიცებული არ არის, იმისდამიუხედავად, რომ უკვე განვლო მიმდინარე საოპერაციო წლის 5 თვეს.

სესსია ანდობს სათანადო ორგანოებს თავიდან აიცილონ ყველა ის ნაკლი, რაც ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას, და ამსთანავე აღნიშნავს, რომ საჭიროა თვით აზნავთის მუშაობაში გაძლიერებულ იქნეს გეგმიანობის პრინციპი.

13. სესსია აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლს გამგებლობის სისტემისას (ცენტრალიზაცია, გაზვიადებულობა და სხვ.) და ამასთანავე ადასტურებს იმ ღონისძიებათ, რაც აზნავთის მიერ მიღებულია დეცენტრალიზაციისა, გამგებლობის სისტემის გაუმჯობესებისა, აპარატის გამარტივებისა, განყოფილებათა შეერთებისა და ლიკვიდაციისათვის და სხვ.; თანაც წინადადებას აძლევს აზნავთს შემდეგშიაც განაგრძოს მუშაობა მთელი აპარატის რაციონალიზაციისათვის.

14. აზნავთის საწარმოო და ეკონომიური მიღწევები თვალსაჩინოდ უსწრებენ ნავთის საქმეში მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესების ზრდას. აღმშენებლობა უშიშროების ტეხნიკისა, სანიტარიისა და გიგიენის დარგში და ბინათა მშენებლობა რამდენადმე ჩამორჩება წარმოების ზრდასა და რაციონალიზაციას.

ამის გამო აზნავთმა ახლო მომავალში საკმარისი ყურადღება და სახსარი უნდა მოანდომოს შრომის დაცვისა, უშიშროების ტეხნიკისა და საბინაო მშენებლობის საკითხებს.

15. სესსია აღნიშნავს, რომ ნავთის მრეწველობის რაციონალიზაციისა და ფართოდ გაშლისათვის წარმოებული მუშაობა შესრულებულია მასსიური მუშათა ორგანიზაციების უახლოესი და აქტიური მონაწილეობით.

მუშათა უდიდესი მასსები — წარმოების თათბირებისა, წარმოების კონფერენციებისა, სამრეწველო კომიტეტებისა და სხვადასხვა კომისიების მეშვეობით — ჩაბმულნი არიან აქტიურ მუშაობაში სოციალისტური მრეწველობის მშენებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსიას მიაჩნია, რომ სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების ერთ ძირითად მიზანთაგანს შეადგენს შემდეგშიაც უფრო მეტად ჩააბან მუშათა ფართო მასები ნავთის მრეწველობის აღმშენებლობის საქმეში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 17. ქალ. ბაქო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 68(1734) №-ში 1928 წ. მარტის 23-ს.

---

65. ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბუნიათ-ზადეს მოხსენების გამო—ა/კსფსრ-ში მებამბეობისა და ბამბის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

1. მოისმინა-რა ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. **ბუნიათ-ზადეს** მოხსენება ა/კსფსრ-ში მებამბეობისა და ბამბის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს მებამბეობის აღდგენისა და ბამბის დარგში მუშაობის დაყენების საქმეში, როგორიც არის მაგალითად: ნათესის სივრცის თითქმის ომის წინა დროის დონემდე აღდგენა; საბამბო მეურნეობათა გაძლიერება; მებამბეობის სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ ბამბის ბაზრის მთლად 100 პროცენტით ხელში დაჭერა; სათესლე მასალის გასაუმჯობესებლად წარმოებული მუშაობა და გაუმჯობესებული ხარისხიანი თესლით ჩვეულებრივი თესლის შეცვლა; საქარხნო მეურნეობისა და პირველადი დამუშავების გაუმჯობესება; თითონ მუშაობის დაყენების რაციონალიზაცია და თვალსაჩინო შედეგების მიღწევა ბამბის ბოჭკოს თვითღირებულების შემცირების საქმეში, ნედლეულის დასაწაზადებელი ფასების სტაბილიზაციითურთ. ამასთანავე სესსია აღნიშნავს 1926 წლიდან ბამბის ნათესის სივრცის ზრდის შესუსტებას; აზერბაიჯანში—ნათესის სივრცის სუსტ ზრდასა და გადიდების სტაბილიზაციას (სულ 2 პროცენტით ორი წლის განმავლობაში), ხოლო სომხეთსა და საქართველოში—ამ სივრცის რამდენადმე შემცირებას; დესეტინა ბამბის მცირე მოსავლიანობას, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და საქართველოში, და ომის წინა დროის დონისაგან ძლიერ ჩამორჩენას (1927-28 წლის საშუალო მოსავლიანობა დესეტინაზე—42 ფუთი, ხოლო ომის წინა დროის მოსავლიანობა 50 ფუთი).

2. რადგანაც მებამბეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის წარძატებისათვის, ისე მთლად კავშირის მრეწველობის უდიდესი დარგისათვის—ფეიქრობისათვის—ნედლეულის მისაწოდებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესსიას საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი ბამბის ნათესის სივრცის გასაფართოებლად და მისი პროდუქციის (დესეტინის მოსავლიანობის) გასადიდებლად:

ა) დაევალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მტკიცედ გაატაროს ხაზი კრედიტების გადიდებისა ბამბის რაიონების საირრიგაციო მშენებლობისათვის;

ბ) დაევალოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიიღოს ყოველი საჭირო ღონისძიება წყლის სარგებლობის მოწესრიგებისათვის არსებულ სისტემებზე (საინჟენერო და „ალაგობრივი“)—ამ სისტემების ექსპლოატაციის გაუმჯობესებითა და აგრეთვე წყალსაყვანების სათანადო რემონტით; თანაც მიაქციოს სერიოზული ყურადღება წყალ-ხაპა დანადგამთა (ჩარხი) გავრცელებას;

გ) დაევალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებანი წყალსაყვანების მშენებლობის გავრცელებისათვის, რისთვისაც ჩაბას ამ მუშაობაში სოფლის საზოგადოებანი და კოოპერატიული ამხანაგობანი წამახალისებელ ღონისძიებათა შემოღებით;

დ) ტეხნიკური კულტურების რაიონული განაწილების სფეროში არანორმალური მდგომარეობისა და ამ რაიონებს შორის კონკურენციის ამოსაფხვრელად—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს—შეიმუშაოს და განახორციელოს ტეხნიკური კულტურების ნათესის რაიონებად დაყოფის წესი;

ე) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიიღოს ღონისძიებანი ბამბის მოჭირნახულეთა სრული და თავის დროზე უზრუნველყოფისათვის სათანადო რაოდენობის ხორბლითა და სამრეწველო საქონლით.

3. ერთი დესეტინა ბამბის მოსავლიანობა უახლოეს 3-4 წელიწადში გადიდებულ უნდა იქნეს მინიმუმ 40 პროცენტით, ე. ი. 55 ფუთამდე დესეტინაზე, რისთვისაც:

ა) წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს გააღრმაოს და გაფართოოს თავისი მუშაობა თესლის გასაუმჯობესებლად და დააჩქაროს ხარისხიანი თესლით ჩვეულებრივი თესლის შეცვლა, რათა 1930-1931 სასოფლო-სამეურნეო წელში მთლად ა/კსფსრ საბამბო მიწების სივრცე დათესილ იქნეს გაუმჯობესებული ხარისხიანი თესლით;

ბ) ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის მიერ დაწყებული მუშაობა ბამბის მოჭირნახულეთაგან მინერალური სასუქის გამოყენებისათვის გაღრმავებულ და გაფართოებულ იქნეს, იმ ანგარიშით, რომ 1930-1931 წ. საბამბო მიწების მთელი სივრცის 75 პროცენტი მინერალურ სასუქს ეჭიროს, და დაევალოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დააწესოს სპეციალური შეღავათები იმ მეურნეობათათვის, რომელნიც-კი სასუქს გამოიყენებენ;

გ) მოსავლიანობის გასადიდებლად და მიწის შემუშავების გასაუმჯობესებლად, ამ შემუშავების პროცესიის მექანიზაციის მეშვეობით, დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—გაფართოონ თავიანთი მუშაობა მებამბეობის მიმყოლ მოსახლეობაში მიწის შემუშავების გაუმჯობესებული სისტემების პროპაგანდისათვის—აგრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტებისა, საჩუენებელი ნაკვეთებისა და მანქანების გამქირავებელი პუნქტების გამრავლებით;

დ) დაეკალოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შეიმუშაოს სათანადო ღონისძიებანი მებამბეობის მიმყოლი მოსახლეობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის (ბამბის სათესი, კულტივატორი, მიწის შემოსაყრელი და სხვ.) შეღავათიან პირობებში მიწოდების საქმის მოსაწყობად, რისთვისაც ამ მუშაობაში ჩაებას სასოფლო-სამეურნეო ბანკი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და მებამბეობის ორგანიზაციები.

4. გეგმა წინამდებარე 1928-29 წელს 122.000 დესეტინა სივრცის დათესვისა ჩაითვალოს მინიმალურ გეგმად და იგი აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნეს. ზემოაღნიშნული გეგმის დაუბრკოლებელი შესრულების უზრუნველსაყოფად სესსია:

ა) ავალებს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს—უზრუნველჰყოს აღნიშნული სივრცისათვის ნორმალურად წყლის მიწოდება საინჟენერო და ალაგობრივი სისტემების წყალსაყვანების თავის დროზე შეკეთებით და აგრეთვე ამ სისტემების ექსპლოატაციის გაუმჯობესებით;

ბ) იღებს-რა ანგარიშში იმ უარყოფითი შედეგებს, რაც გასულ სამეურნეო წელს ბამბის მოჭირნახულეთათვის თავის დროზე კარგი ღირსების პურისა და მანუფაქტურის მიუწოდებლობას მოჰყვა, სესსია ავალებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს ბამბის მოჭირნახულენი თესვის კამპანიის პერიოდში და ზაფხულში ბამბის დამუშავების დროს კარგი ღირსების პურისა და საჭონლის საჭირო რაოდენობით;

გ) წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს—უზრუნველჰყოს ბამბის მოჭირნახულენი თავის დროზე თესლისა და ავანსების დარიგებით;

დ) ავალებს ყველა სამაზრო, სათემო, სადაირო და საუბნო საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტს—მიაქციოს მაქსიმუმი ყურადღება ბამბის თესვის კამპანიის ჩატარებას და ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მებამბეობის ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ამ კამპანიის განხორციელების საქმეში.

5. ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია, აღნიშნავს-რა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პირველმა ცდამ ბამბის დამოუკიდებლად დათესვის საქმეში წარმატებით განვლო, იგი ადასტურებს ა/კსფსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებას—მომდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში კოოპერაციის ნათესვების 20 ათას დესეტინამდე გაფართოების შესახებ—და წინადადებას აძლევს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს—ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი კოოპერატიული ნათესვების თანდათან ზრდას, ყველა იმ საჭირო პირობის ანგარიშში მიღებით, რაც საღ ზრდას უზრუნველჰყოფს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 17. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 68 (1734) №-ში 1928 წ. მარტის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. დ. ჰუსეინოვის მოხსენებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ნაზარეთიანის თანამოხსენების გამო—ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ამიერკავკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსიამ მოისმინა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. **დ. ჰუსეინოვის** მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ა. ნაზარეთიანის** თანამოხსენება—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ოქტომბრის 25-ს დამტკიცებული ა/კსფსრ 1927-28 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესახებ,—და იგი სრულის სისავსით ადასტურებს ამიერკავკასიის მთავრობის საფინანსო პოლიტიკას.

თანაც:

1. სესსია აღნიშნავს, რომ 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ინტენსიურად იზრდება და წინ უსწრებს ამავე ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს, აგრეთვე წლიდან-წლამდის უფრო და უფრო მაგრდება და ჯანსაღდება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზა და დიდდება არასაგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა,—ხოლო ამავე დროს სესსიას მიაჩნია, რომ იმ ცვლილებების შემდეგ, რაც სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ შეიტანა ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტში და რაც იმაში გამოიხატება, რომ გადიდებულია ზოგიერთი, უმთავრესად საგადასახადო, წყაროს საშემოსავლო ანარიცხი, ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს ეტყობა სახსართა დაძაბულობა.

2. სესსია აღიარებს, რომ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზა ურყევად იზრდება და უკანასკნელ წლებში საბიუჯეტო დეფიციტიანობა აშკარად მცირდება: 47 პროცენტიდან, რაც 1925-26 წელს იყო, 3,7 პროცენტამდე 1927-28 წელს—და საჭიროდ სცნობს მიღწეულ იქნეს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის უდეფიციტო დაბალანსება.

3. სესსია წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის მთავრობასა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ მიიღონ ყოველი ღონისძიება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებისათვის, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საგადასახადო საქმეს იმ მხრივ, რომ გაფართოებულ იქნეს დასაბეგრი ობიექტის არე, განსაკუთრებით-კი სრულად დაიბეგროს კერძო კაპიტალი, და არ იქნეს დატოვებული ნარჩენები.

4. სესსია აღნიშნავს ზოგიერთ მიღწევებს უკანასკნელი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში, კერძოდ საგადასახადო შემოსავლის სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე, ყურადღებას აქცევს არასაგადასახადო შემოსავალთა სისტემატიურ შეუსრულებლობას ბოლომდე და წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის მთავრობას—მიიღოს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა ექსპლოატაციის მოწესრიგებას, მათ რენტაბელობის გადიდებას და მოვალეობათა თავის დროზე შესრულებას.

5. რადგანაც სოფლად მომქმედი დაბეგვრის სისტემა (სას.-სამ. გადასახადი) სრულიად გამართლებულ იქნა, სესსიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ სისტემის შენარჩუნება მომავალი წლისთვისაც; ხოლო ამ სისტემაში შეტანილ უნდა იქნეს ზოგიერთი ცვლილება, რაც უფრო დააახლოებს შემოსავლიანობასა და დაბეგვრის პროგრესიობას, რათა რაც შეიძლება უკეთესად და სრულად დაბეგვრილ იქნენ სოფლის შეძლებული ფენები და ამავე დროს შენარჩუნებულ იქნეს ყველა შეღავათი ნაკლებად შემძლე ელემენტებისათვის, ხოლო ღარიბნი-კი მთლად განთავისუფლდნენ გადასახადისაგან.

6. სესსია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სესხთა ბაზარი, რასაც წლევანდლამდე ამიერკავკასიაში შედარებით ნაკლები მოთავსების უნარი ჰქონდა, წელს პირველად თვალსაჩინოდ გაფართოვდა და ინდუსტრიალიზაციის სახელმწიფო სესხის რეალიზაცია, ბაკოს, ტფილისისა, ერევნისა და სხვა ქალაქების მუშებისა და მოსამსახურეების ფართო დახმარებით, ისეთ თანხაში გამოიხატა, რაც გაცილებით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ თანხას. სესსია ავალებს ამიერკავკასიის მთავრობას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ კვლავაც არ შეასუსტონ თავიანთი ყურადღება სახელმწიფო სესხთა მიმართ და, განსაკუთრებით, უზრუნველჰყონ საგლეხო სესხის წარმატებით რეალიზაცია.

7. სესსიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი აგებულია უპირატესად საწარმოო ხასიათის ხარჯების საფუძველზე და საჭიროდ სთელს—ეს ხაზი გაორმავებულ იქნეს, განსაკუთრებით მრეწველობის აღმშენებლობისა და ელექტროფიკაციის დარგში.

ამასთანავე, სესსიას საჭიროდ მიაჩნია სთხოვოს სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აღდგენილ იქნეს ასიგნება ქაღალდის ფაბრიკისათვის იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ა/კსფსრ 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით.

8. სესსია აღნიშნავს, რომ 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თვალსაჩინოდ არის გადიდებული თანხები სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ ა/კსფსრ ირრიგაციისათვის, აგრეთვე ასიგნები სოფლის ღარიბი მოსახლეობისათვის კრედიტის მისაცემად, და მას საჭიროდ მიაჩნია კვლავ განგრძობილ იქნეს ეს პოლიტიკა; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ღონისძიებათა განვითარებას.

9. სესსია, იღებს-რა მხედველობაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით თვალსაჩინო სახსარია გადადებული მრეწველობისა, ელექტროფიკაციისა, სოფლის მეურნეობისა, ირრიგაციისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ფინანსიური მოგვარებისათვის, და აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ მთელ რიგ შემთხვე-

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებში ამ სახსარის გამოყენება არ იძლევა საკმარის ეფექტებს მშენებლობის თავის დროზე დამთავრებისა და სათანადო ღირებულების მხრით,—სესსია მიაქცევს ა/კსფსრ მთავრობის და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგ საკითხებათ:

ა) დაწესებულ უნდა იქნეს ვადები დაწყებული აღმშენებლობის დამთავრებისა და მთელი ყურადღება უნდა მიეპყროს ობიექტების მცირე რაოდენობას, რათა ეს ობიექტები რაც შეიძლება მალე ჩაებნენ საწარმოო მოქმედებაში;

ბ) თავიდან აცილებულ უნდა იქნეს როგორც სატეხნიკო-საორგანიზაციო, ისე ეკონომიური ხასიათის კაპიტალური აღმშენებლობის ნაკლულოვანებანი;

გ) გაძლიერებულ უნდა იქნეს შემოწმება და კონტროლი იმ სახსართა გამოყენების სფეროში, რაც წარმართულია სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის;

დ) განხორციელებულ უნდა იქნეს დირექტივები მშენებლობის ღირებულების 15 პროცენტით შემცირების შესახებ და მიღებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი თავის დროზე ფინანსიურად მოგვარებისათვის;

ე) დაევალოს ამიერკავკასიის მთავრობას მიიღოს ღონისძიებანი, რათა თავის დროზე მიღწეულ იქნეს მთლად კაპიტალური მშენებლობის ფინანსიურად მოგვარება, კერძოდ საბინაო მშენებლობისა და კომუნალური მშენებლობისა.

ამავე დროს სესსია, იღებს-რა ანგარიშში ამიერკავკასიის ირრიგაციის ფინანსიურად მოგვარებისათვის ყოველწლივ გადადებულ დიდ ასიგნვებს და იმ დიდ მნიშვნელობას, რაც საირრიგაციო მშენებლობას აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის,—იგი ადასტურებს ამიერკავკასიის მთავრობის ღონისძიებათ წყალთა მეურნეობის რაციონალიზაციის სფეროში და საჭიროდ სთვლის, რომ ამ ხაზით მოქმედება კვლავ განგრძობილ იქნეს.

10. სესსია, აღნიშნავს-რა, რომ სოფლის მეურნეობისა, კომუნალურ საწარმოთა და სხვ. ფინანსიურად მოგვარებისათვის კრედიტების რესპუბლიკებზე განაწილება საერთო ეკონომიური კოეფიციენტების საფუძველზე მიზანშეწონილი არ არის და არ შესაბამება სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოსაგვარებელი დარგების გეგმაშეწონილად განვითარების მიზანს,—სესსია ავალებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—შეიმუშაოს საკითხი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის კრედიტების განაწილების შესახებ, რასაც საფუძვლად უნდა დაუდვას სახალხო მეურნეობის თვითეული ცალკე დარგის საჭიროებათა და კრედიტის მიზნობრივი დანიშნულების დაწვრილებითი შესწავლა და ამისთვის სახელმძღვანელოდ უნდა მიიღოს საკონტროლო ციფრები და სახალხო მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმები.

11. სესსია კმაყოფილებით აღნიშნავს საკავშირო მთავრობისა და ა/კსფსრ მთავრობის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ინტენსიური ბრძოლის წარმოების უზრუნველყოფისათვის, უმთავრესად-კი საქონლის ჭირის წინააღმდეგ, რისთვისაც 1927-28 წ. გადადებულ იქნა თვალსაჩინო თანხა—3 მილიონი მან. რაოდენობით, და საჭიროდ მიაჩნია გაძლიერებული ბრძოლის წარმოება ამ დიდი საქვეყნო განსაცდელის წინააღმდეგ მის სრულიად მოსპობამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე; თანაც, ამ საქმისათვის საჭირო სახსარი შემდეგი წლებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტით.

12. რადგანაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ამიერკავკასიის ელექტროფიკაციას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, სესსია ავალებს მთავრობას უზრუნველჰყოს საჭირო სახსართა გადადებით საელექტროფიკაციო მშენებლობა ა/კსფსრ-ში, იმ პირობით, რომ დაჩქარებულ იქნეს არსებული და ახლად დაწყებული ელექტრო-სადგურების აგების დამთავრება.

სესსიას მიაჩნია, რომ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით ელექტრო-მშნებლობისათვის გადადებული 1.853.000 მან. საკმარისი არ არის და ამისგამო იგი ავალებს ამიერკავკასიის მთავრობას აღძრას შუამდგომლობა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე—დამატებით უზრუნველყოფილ იქნეს ბიუჯეტით ან საბანკო კრედიტით 1.000.000 მან. გადადება.

13. სესსია ადასტურებს ა/კსფსრ 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, წინა-წლებისამებრ, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნავთის ფონდის მოთავსებას აზერბაიჯანის მშრომელთა კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მას საჭიროდ მიაჩნია, რათა ეს ფონდი შემდეგშიაც შენარჩუნებულ იქნეს ა/კსფსრ ბიუჯეტში.

14. რადგანაც ამიერკავკასიის გზატკეცილები ჯერ კიდევ ისევ მძიმე მდგომარეობაშია და გზათა მშენებლობის მოწესრიგებისა და გზათა ქსელის გაფართოების საკითხი ამიერკავკასიის პირობებში მეტის-მეტად აქტუალური საკითხია, სესსია ძიაქცევს ამიერკავკასიის მთავრობის ყურადღებას იმ გარამოებას, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მომავალი წლების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტში. ამ მიზნისათვის გადასადები სახსარი.

15. სესსია ადასტურებს მთავრობის ღონისძიებათა ა/კსფსრ საბინაო და კომუნალური მშენებლობის გრძელვადიანი კრედიტით უზრუნველყოფისათვის საერთო საკავშირო ბიუჯეტისა და ცენტრალური კოოპერატიული ბანკის ხაზით. ამავე დროს სესსია, იღებს-რა მხედველობაში საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და კომუნალური მეურნეობის განვითარების საჭიროებას, აუცილებლადა სთვლის მომავალი წლიდან ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტში განსაკუთრებული ფონდის შექმნას საბინაო და კომუნალური მშენებლობის ფინასიური მოგვარებისათვის, იმ ფონდების დამატებად, რაც საერთო-საკავშირო ბიუჯეტით გადაიდება ხოლმე.

16. სესსია აღიარებს, რომ მიუხედავად მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რაც გამომდინარეობდა ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის საკონსტიტუციო თავისებურობისაგან, ა/კსფსრ 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სსრკ უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებებში დაგვიანებით განხილვისაგან, სახელმწიფო ნორმირობის განხორციელების აუცილებლობისაგან და სხვა გარამოებათაგან,—მაინც დირექტივა—ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ—განხორციელებულია სრულად და საგამგებლო ხარჯების შემცირებით მიღებული ეკონომია მთლად მიქცეულია სოციალისტურ-კულტურული და სამეურნეო ხარჯების გასაძლიერებლად სახელმწიფო ბიუჯეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ხარჯთაღრიცხვებით მიღწეული ეკონომია რეალურად იქნეს გატარებული და სათანადოდ განმტკიცდეს, სესსია წინადადებას აძლევს ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს—გააძლიერონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის შესახებ გაცემული დირექტივის ფაქტიური აღსრულების შემოწმებისათვის, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა ურყევად განამტკიცონ მიღებული შედეგები.

17. აგრეთვე სესსია ადასტურებს ა/კსფსრ მთავრობის იმ დიდ ყურადღებას, რასაც იგი სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხებს აქცევს და საჭიროდ მიაჩნია, რომ მომავალი წლების ბიუჯეტში უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნვების ზრდა სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, კერძოდ ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლებისათვის სხვადასხვა გაწყობილობის მისაწოდებლად, რაც ამ ჟამად სრულიად არა კმარა სასწავლო პროგრამების ნორმალურად შესრულებისათვის.

18. სესსია აღნიშნავს ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტების საღ მიმართულებას, რაც იმაში გამოიხატა, რომ სამომხმარებლო ხასიათის ხარჯები შემცირებულია, ხოლო სახელმწიფო საწარმოო ხარჯები გადიდებულია. ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის განსამტკიცელად სესსიას საჭიროდ მიჩნია მიღებულ იქნეს ღონისძიებანი საწარმოო საჭიროებისათვის გადასადები სახსარის კვლავ გასაძლიერებლად, იმ პირობით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის საწარმოო ხარჯებს უპირატესობა მიეცეს. ამის გარდა, სესსია საჭიროდა სთვლის ყურადღება მიექცეს სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა (სკოლები და საავადმყოფოები) თვისებრივ გაუმჯობესებას, და ზედმიწევნით განისაზღვროს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სფერო.

19. თუმაცა ადგილობრივ ბიუჯეტებს გაჯანსაღება აშკარად ეტყობათ, მაინც ეს ბიჯეტები, ამიერკავკასიის განსაკუთრებული პირობების გამო, დეფიციტიანია და მთელი რიგი წლების განმავლობაში კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტის თანასაჩინო დახმარებას მოითხოვენ.

ამისდამიხედვით, სესსიას მიაჩნია, რომ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღრული სასუბვენციო ფონდი საკმაო როდი იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი რიგის საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის და იგი სთხოვს სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სასუბვენციო ფონდის დამატებად გადადებულ იქნეს 1.500.000 მან.

20. ძირეული ადგილობრივი ბიუჯეტების განსამტკიცებლად და ძირეული საბჭოთა ორგანოების მატერიალური ბაზის გასაფართოებლად,—სესსია წინადადებას აძლევს ა/კსფსრ მთავრობას დააჩქაროს მუშაობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დარაიონების საქმის განხორციელებისათვის.

21. სესსია აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის არასაკმარისი მონაწილეობა საბიუჯეტო მუშაობაში აიხსნება თვით ბიუჯეტის აგებულების ობიექტიური პირობებით, ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მსვლელობის წესის სირთულით და ინსტანციების სიმრავლით; ხოლო შემდეგში, როდესაც ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდეფიციტოდ იქნება დაბალანსებული და მისი განხილვის წესი თვალსაჩინოდ განმარტივდება, კომისიის გეგმაშეწონილი მუშაობისათვის შეიქმნება სათანადო პირობები; ამის გამო ამერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსია საჭიროდ სთვლის, რომ საბიუჯეტო კომისიამ შემდეგში უფრო უშუალო და სისტემატიური მონაწილეობა მიიღოს როგორც მთლად ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაში, ისე საბიუჯეტო აღმშენებლობის ცალკე პრობლემების გადაწყვეტაში.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 17. ქალ. ბაქო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 69 (1735) №-ში 1928 წ. მარტის 24-ს.

---

67. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. ა. შავერდოვის მოხსენების გამო—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლ და მე-3 სესსიებს შორის განვლილ პერიოდში მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსიამ მოისმინა მოხსენება პრეზიდიუმის მიერ მე-IV მოწვევის 1-ლსა და მე-3 სესსიებს შორის განვლილ პერიოდში მიღებული დადგენილებების შესახებ და იგი ადგენს:

ა. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლსა და მე-3 სესსიებს შორის განვლილ პერიოდში ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული შემდეგი დადგენილებანი:

1. საბაჟვო სახლების მოწაფეთა მომზადების შესახებ შრომისა და საერთო-სარგებლობის მოღვაწეობისათვის (1927 წ. მაისის 9-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 111; „ხ. ვ.“ 1477 №-რი 1927 წ. მაისის 17-სა).

2. მომთაბარე ოთხფეხი საქონლისათვის სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის დაწესების შესახებ მისი ა/კსფსრ ფარგლებში გადაყვან-გადმოყვანის დროს. (1927 წ. ივნისის 3-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-11 №-რი, მუხ. 137; „ხ. ვ.“ 1509 №-რი 1927 წ. ივნისის 18-სა).

3. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ზარაგზების დაყოფისა და მათი განვითარების ზოლის ნორმების შესახებ (ივლისის 6-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-13 №-რი, მუხ. 165; „ხ. ვ.“ 1539 №-რი 1927 წ. ივლისის 30-სა).

4. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლების გაფართოების შესახებ (1927 წ. სექტემბრის 5-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-16 №-რი, მუხ. 194; „ხ. ვ.“ 1575 №-რი 1927 წ. სექტემბრის 13-სა).

5. საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესის შესახებ (1927 წ. სექტემბრის 19-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 202; „ხ. ვ.“ 1584 №-რი 1927 წ. სექტემბრის 24-სა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ა/კსფსრ-ში წყალთა მეურნეობის მმართველი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ (1927 წ. სექტემბრის 5-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 203; „ზ. ვ.“ 1584 №-რი 1927 წ. სექტემბრის 24-სა).

7. სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების დამტკიცების შესახებ (1927 წ. სექტემბრის 5-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 204; „ზ. ვ.“ 1584 №-რი 1927 წ. სექტემბრის 24-სა).

8. ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგმარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის დებულების დამტკიცების შესახებ (1927 წ. სექტემბრის 19-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-19 №-რი, მუხ. 216; „ზ. ვ.“ 1608 №-რი 1927 წ. ოქტომბრის 22-სა).

9. წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ (1927 წ. ოქტომბრის 10-სა; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-19 №-რი, მუხ. 217; „ზ. ვ.“ 1610 №-რი 1927 წ. ოქტომბრის 25-სა).

10. შრომის გმირთა შესახებ (1927 წ. ოქტომბრის 25-სა; ა/კსფსრ 1927 წ. მე-20 №-რი, მუხ. 230; „ზ. ვ.“ 1625 №-რი 1927 წ. ნოემბრის 13-სა).

11. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ (1928 წ. იანვრის 30; ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-რი, ძუხ. 24).

ბ. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1928 წ. თებერვლის 6-ს დადგენილება ამხ. ა. ნაზარეთიანის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის წევრთა შედგენილობაში შესვლისა და ამ კომისიისავე თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 17. ქალ. ბაქო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 70 (1736) №-ში 1928 წ. მარტის 25-ს.

---

68. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ს. ამბარცუმიანის არჩევის შესახებ.

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-30 სესია ადგენს: ამხ. სერგი ისაის-ძე **ამბარცუმიანი** არჩეულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 17. ქალ. ბაქო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 70 (1736) №-ში 1928 წ. მარტის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა